

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს
2010 წლის 29 სექტემბრის სხდომის
ოქმი №52

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომას, საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის 69 წევრიდან, ესწრებოდა 37. სხდომას უძღვებოდა სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი, პროფ. ეკატერინე თევზაძე. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა, პროფ. ეკატერინე თევზაძემ საბჭოს წევრებს მიმართა, რომ წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანს გინა გურეშიძეს გარდაეცვალა დედა, ამიტომ მდივნის მოვალეობის შესრულება ამ სხდომაზე ეთხოვოს პროფ. ვალიდა სესაძეს. საბჭოს წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ კანდიდატურას.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი (იხ. დანართი).

სპიკერმა მიმართა საბჭოს წევრებს, გაეთვალისწინებინათ პროფ. გიორგი აბრამიშვილისა და პროფ. ანზორ შავგულიძის თხოვნა და დამტკიცებინათ წარმოდგენილი დღის წესრიგი შემდეგი თანამიმდევრობით: პირველ სამ საკითხად განეხილათ მე-6 – მე-8 საკითხები.

წარმოდგენილი დღის წესრიგი აღნიშნული ცვლილებით კენჭის ყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

სპიკერმა მიმართა საბჭოს წევრებს აერჩიათ ხმის დამთვლელი კომისია 3 კაცის შემადგენლობით. დასახელდა საბჭოს შემდეგი წევრები: პროფ. ნაზი კუციავა, პროფ. მალხაზ ხუციშვილი, პროფ. ივანე შავთვალიშვილი.

წარმოდგენილ კანდიდატურებს ყველამ ერთხმად დაუჭირა მხარი.

სპიკერი: წარმოგიდგენთ დღის წესრიგის პირველ და მეორე საკითხებს – 2010/2011 სასწავლო წლის საათობრივი ანაზღაურების ნიხრების დამტკიცების შესახებ სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №323 და პროფესორ-მასწავლებელთა პრემირების ფონდის შექმნის შესახებ, სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №318 – მომხსენებელი პროფ. გიორგი აბრამიშვილი.

პროფ. გიორგი აბრამიშვილი: პირველი საკითხი ეხება სტუ-ს აკადემიური საბჭოს №323 დადგენილებას – 2010/2011 სასწავლო წლის საათობრივი ანაზღაურების ნიხრების დამტკიცების შესახებ.

2010/2011 სასწავლო წლის სასწავლო პროცესის ნორმალურად წარმართვის მიზნით:

1. მოწვეული სპეციალისტების საათობრივი ანაზღაურების ნიხრები

განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი – 4,10 ლარი საათში;

დოქტორის აკადემიური ხარისხის არმქონე პირი – 3,50 ლარი საათში.

2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, მოწვეული პროფესორების და მასწავლებლების საათობრივი ანაზღაურების ნიხრები, სახელშეკრულებო დატვირთვის ზემოთ, განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

სრული პროფესორი და მოწვეული პროფესორი სრული პროფესორის სახელფასო ანაზღაურებით – 4,70 ლარი საათში;

ასოცირებული პროფესორი, მოწვეული პროფესორი ასოცირებული პროფესორის სახელფასო ანაზღაურებით, დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე ასისტენტ-პროფესორი, უფროსი მასწავლებელი, მასწავლებელი – 4,10 ლარი საათში;

დოქტორის აკადემიური ხარისხის არმქონე ასისტენტ-პროფესორი, მასწავლებელი, უფროსი მასწავლებელი, დოქტორანტი – 3,50 ლარი საათში.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ გასულ წელთან შედარებით საათობრივი ანაზღაურების ნიხრები არ შეცვლილა.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის პირველი საკითხი – 2010/2011 სასწავლო წლის საათობრივი ანაზღაურების ნიხრების დამტკიცების შესახებ სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №323. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

ბ ა დ ა ვ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 29 სექტემბრის №52 სხდომაზე სტუ-ს აკადემიური საბჭოს წევრმა პროფ. გიორგი აბრამიშვილმა წარმოადგინა საკითხი 2010/2011 სასწავლო წლის საათობრივი ანაზღაურების ნიხრების დამტკიცების შესახებ. სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №323.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით ერთხმად დამტკიცდა:

1. 2010/2011 სასწავლო წლის სასწავლო პროცესის ნორმალურად წარმართვის მიზნით მოწვეული სპეციალისტების საათობრივი ანაზღაურების ნიხრები განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი – 4,10 ლარი საათში;

დოქტორის აკადემიური ხარისხის არმქონე პირი – 3,50 ლარი საათში;
2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, მოწვეული პროფესორების და მასწავლებლების საათობრივი ანაზღაურების ნიხრები, სახელშეკრულებო დატვირთვის ზემოთ, განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

სრული პროფესორი და მოწვეული პროფესორი სრული პროფესორის სახელფასო ანაზღაურებით – 4,70 ლარი საათში;

ასოცირებული პროფესორი, მოწვეული პროფესორი ასოცირებული პროფესორის სახელფასო ანაზღაურებით, დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე ასისტენტ-პროფესორი, უფროსი მასწავლებელი, მასწავლებელი – 4,10 ლარი საათში;

დოქტორის აკადემიური ხარისხის არმქონე ასისტენტ-პროფესორი, მასწავლებელი, უფროსი მასწავლებელი, დოქტორანტი – 3,50 ლარი საათში.

პროფ. გიორგი აბრამიშვილი: მეორე საკითხი ეხება სტუ-ს აკადემიური საბჭოს №318 დადგენილებას – შეიქმნას პროფესორ-მასწავლებელთა პრემირების ფონდი, პროფესორ-მასწავლებელთა წახალისების მიზნით.

გთავაზობთ შემდეგ ღონისძიებებს:

1. შეიქმნას უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა პრემირების ფონდი;
2. პროფესორ-მასწავლებელთა პრემირებისას გათვალისწინებულ იქნეს „სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ელექტრონული სისტემის” და „პროფესორ-მასწავლებელთა რეგისტრაციის ელექტრონული სისტემის” მონაცემები;
3. პროფესორ-მასწავლებელთა პრემირებისათვის წინადადებების მომზადება დაევალოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს პროფ. ქ. ქოქრაშვილს.

პროფ. დავით ჯაფარიძე: როგორც ვიცი, მაგისტრებისა და დოქტორანტურის ლექტორების აღრიცხვა არ ხდება ელექტრონული სისტემით. მაშინ როგორ მოხდება მათი ჩართვა წახალისების ფონდში?

პროფ. გიორგი აბრამიშვილი: არ ხდება მხოლოდ დოქტორანტების ლექციების შემოწმება. მაგისტრების ლექციები ჩართულია ამ ახალ ელექტრონულ სისტემაში.

პროფ. აგული სოხაძე: პროფესორის პრემირებისას ლექციების ხარისხი უნდა იყოს გადამწყვეტი და არა მხოლოდ მისი ჩატარების ფაქტი.

პროფ. ეკატერინე თევზაძე: ლექციების ხარისხი ვინ უნდა შეამოწმოს?

პროფ. დავით ჯაფარიძე: უნდა დამტკიცდეს პრემირების დებულება და მხოლოდ დებულება მოახდენს ამ პროცესის მართვას.

პროფ. გიორგი აბრამიშვილი: მნიშვნელოვანია, რომ გადავწყვიტოთ პრემირების საკითხი, დანარჩენს თვით დებულება დაარეგულირებს.

პროფ. ეკატერინე თევზაძე: რა მოცულობის იქნება ეს ფონდი?

პროფ. გიორგი აბრამიშვილი: ფონდის მოცულობა მითითებული იქნება დებულებაში.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეორე საკითხი – პროფესორ-მასწავლებელთა პრემირების ფონდის დამტკიცების შესახებ სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №318. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

ბ ა დ ა ო ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 29 სექტემბრის №52 სხდომაზე სტუ-ს აკადემიური საბჭოს წევრმა პროფ. გიორგი აბრამიშვილმა წარმოადგინა საკითხი პროფესორ-მასწავლებელთა პრემირების ფონდის დამტკიცების შესახებ. სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №318.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით ერთხმად დამტკიცდა:

- 1. შეიქმნას უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა პრემირების ფონდი;*
- 2. პროფესორ-მასწავლებელთა პრემირებისას გათვალისწინებულ იქნეს „სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ელექტრონული სისტემის“ და „პროფესორ-მასწავლებელთა რეგისტრაციის ელექტრონული სისტემის“ მონაცემები;*
- 3. პროფესორ-მასწავლებელთა პრემირებისათვის შეიქმნას დებულება (დებულების პროექტის მომზადება დაევალოს სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს) და დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს.*

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მესამე საკითხი – სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის საინჟინრო გრაფიკისა და ტექნიკური მექანიკის დეპარტამენტში "უმაღლესი სკოლის გრაფიკული დისციპლინების მასწავლებელთა მომზადების სასწავლო ცენტრის" შექმნისა და

მისი დებულების დამტკიცების შესახებ სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №317 – მომხსენებელი პროფ. ანზორ შავგულიძე.

პროფ. ანზორ შავგულიძემ საბჭოს წევრებს გააცნო "უმაღლესი სკოლის გრაფიკული დისციპლინების მასწავლებელთა მომზადების სასწავლო ცენტრის" დებულება.

პროფ. დავით ჯაფარიძე: ნამდვილად კარგი იქნება ასეთი ცენტრის შექმნა.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მესამე საკითხი – სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის საინჟინრო გრაფიკისა და ტექნიკური მექანიკის დეპარტამენტში "უმაღლესი სკოლის გრაფიკული დისციპლინების მასწავლებელთა მომზადების სასწავლო ცენტრის" შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №317. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

ბ ა დ ა ო ყ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 29 სექტემბრის №52 სხდომაზე პროფ. ანზორ შავგულიძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის საინჟინრო გრაფიკისა და ტექნიკური მექანიკის დეპარტამენტში "უმაღლესი სკოლის გრაფიკული დისციპლინების მასწავლებელთა მომზადების სასწავლო ცენტრის" შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №317.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა სტუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ წარმოდგენილი №317 დადგენილება სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის საინჟინრო გრაფიკისა და ტექნიკური მექანიკის დეპარტამენტში "უმაღლესი სკოლის გრაფიკული დისციპლინების მასწავლებელთა მომზადების სასწავლო ცენტრის" შექმნის შესახებ. ასევე დამტკიცდა ამ ცენტრის დებულება.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეოთხე საკითხი – "სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ელექტრონული სისტემის" დამტკიცების შესახებ სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №311 – მომხსენებელი პროფ. ლევან იმნაიშვილი.

პროფ. ლევან იმნაიშვილმა წარმოადგინა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება №311 „სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ელექტრონული სისტემის“ შესახებ:

1. მოწონებულ იქნეს „სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა“ და დაინერგოს იგი სასწავლო პროცესში 2010/2011 სასწავლო წლიდან;
2. „სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ელექტრონული სისტემის“ უწყისის შევსებისას უპასუხისმგებლობის/უყურადღებობის გამო დაშვებულ შეცდომებზე რეაგირების მიზნით სტუ-ს პროფესორ-მასწავლებელთა მიმართ შემოღებულ იქნეს შემდეგი ადმინისტრაციული ღონისძიებები:
 - ა) ორი შემთხვევისას – მითითება;
 - ბ) სამი შემთხვევისას – გაფრთხილება;
 - გ) ოთხი შემთხვევისას – საყვედური;
 - დ) ხუთი შემთხვევისას – სასტიკი საყვედური;
 - ე) ექვსი შემთხვევისას – სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით;
 - ვ) შვიდი შემთხვევისას – დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლება;
3. შემოღებული ადმინისტრაციული ღონისძიებების გატარება გათვალისწინებულ იქნეს აღნიშნული სისტემის პროგრამულ უზრუნველყოფაში (ლ. იმნაიშვილი);
4. გასატარებელი ღონისძიებების შესახებ რექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება დაევალოს სწავლების დეპარტამენტს (ი. ლომიძე).

პროფ. ჯემალ ბერიძე: გამოსაშვები სამუშაო სად უნდა მიეთითოს?

პროფ. ლევან იმნაიშვილი: სისტემაში არის დოკუმენტური მასალა, სადაც იგულისხმება სილაბუსში მითითებული ნაშრომის სახე. გამოცდები ფიზიკასა და მათემატიკაში ჩატარდება კომპიუტერზე.

პროფ. ივანე შავთვალიშვილი: დატვირთვაში ემატება თუ არა საათები ჟურნალის შევსებისათვის? უწყისს ვავსებდით სემესტრში ერთხელ, აქ კი შევსება ხდება ყოველი ლექციის შემდეგ?

პროფ. ლევან იმნაიშვილი: ამ შემთხვევაში არ არის გათვალისწინებული ზედმეტი თანხა.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი, მაგრამ ხმის დამთვლელმა კომისიამ აღმოაჩინა, რომ იმ მომენტისათვის რამდენიმე საბჭოს

წევრმა დატოვა სხდომა და კვორუმი აღარ იყო, ამიტომ გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული.

სპიკერი: მართალია კვორუმი არ არის, მაგრამ თანახმა ხართ განვიხილოთ დღის წესრიგის სხვა საკითხები?

საბჭოს წევრებმა გამოთქვეს სურვილი მოესმინათ "პროფესორ-მასწავლებელთა რეგისტრაციის ელექტრონული სისტემის" შემოღების საკითხი.

პროფ. ლევან იმნაიშვილმა წარმოადგინა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება №312 "პროფესორ-მასწავლებელთა რეგისტრაციის ელექტრონული სისტემის" შემოღების შესახებ:

1. მოწონებულ იქნეს "პროფესორ-მასწავლებელთა რეგისტრაციის ელექტრონული სისტემა" და დაინერგოს იგი სასწავლო პროცესში 2010-2011 სასწავლო წლიდან;
2. დამტკიცდეს "პროფესორ-მასწავლებელთა რეგისტრაციის ელექტრონული სისტემით" სარგებლობის წესი (იხ. დანართი);
3. პროფესორ-მასწავლებლების მიერ აღნიშნული წესის მოთხოვნათა შეუსრულებლობისათვის შემოღებულ იქნეს შემდეგი ადმინისტრაციული ღონისძიებები:
 - 3.1. მეცადინეობების ადრე შეწყვეტა დაუსაბუთებლად ან/და მოცემულ საგანში შეუსაბამო პედაგოგის ჩანაცვლება:
 - ა) ორი შემთხვევისას – გაფრთხილება;
 - ბ) სამი შემთხვევისას – საყვედური;
 - გ) ოთხი შემთხვევისას – სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით;
 - დ) ხუთი შემთხვევისას – დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლება;
 - 3.2. მეცადინეობების გაცდენა:
 - ა) ერთი შემთხვევისას – საყვედური;
 - ბ) ორი შემთხვევისას – სასტიკი საყვედური;
 - გ) სამი შემთხვევისას – სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით;
 - დ) ოთხი შემთხვევისას – დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლება;
 - 3.3. მეცადინეობის გაცდენისას შესაბამისი ანაზღაურება არ გაიცემა;
 - 3.4. თუ მეცადინეობას ჩაატარებს პროფესორ-მასწავლებლის ჩამნაცვლებელი, შესაბამისი ანაზღაურება გაიცემა მასზე;
4. შემოღებული ადმინისტრაციული ღონისძიებების გატარება გათვალისწინებულ იქნეს აღნიშნული სისტემის პროგრამულ უზრუნველყოფაში (ლ. იმნაიშვილი);

5. გასატარებელი ღონისძიებების შესახებ რექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება დაევალოს სწავლების დეპარტამენტს (ი. ლომიძე);

6. აღნიშნული დადგენილება ძალაში შევიდეს 2010 წლის 1 ნოემბრიდან.

პროფ. ლევან იმნაიშივილი: თანამშრომლების აღრიცხვის სისტემაზე რომ ვლაპარაკობთ, უნდა აღვნიშნო, რომ ცხრილების შესრულებას ვერ ვახერხებთ შუა სემესტრამდე. ეს სისტემა უნდა ჩაირთოს მხოლოდ ცხრილების შესრულების შემდეგ. პროფესორების რეგისტრაცია უნდა დაიწყოს ლექციების დაწყებამდე 25 წუთით ადრე და ლექციებს შორის შესვენების პერიოდში 10 წუთი. დაგვიანების ლიმიტი 5 წუთი (არქივში მიეთითება დაგვიანების დრო). 5 წუთის შემდეგ, დაგვიანება ჩაითვლება გაცდენად. ჩანაცვლებისას შეიძლება ჩაენაცვლოს ის მასწავლებელი, ვისი კოდიც უკვე არსებობს სისტემაში. ჩანაცვლებელი რანგით ჩანაცვლებულზე ნაკლები არ უნდა იყოს. ჯგუფის გამოუცხადებლობის შემთხვევაში უნდა დაფიქსირდეს, რომ ჯგუფი არ გამოცხადდა, ლექტორი აფიქსირებს თავის ყოფნას.

პროფ. დავით ჯაფარიძე: წარმოდგენილი აღრიცხვის სისტემა რამდენად შეესაბამება შრომით კოდექსს?

პროფ. ნაომ ბოჭორიშივილი: დებულებაში მოცემული სასჯელები გადმოტანილია შრომის კოდექსიდან.

პროფ. დავით ჯაფარიძე: ვფიქრობ, ეს საკითხი უნდა განიხილონ ფაკულტეტებზე და შემდეგ მოხსენდეს წარმომადგენლობით საბჭოს.

პროფ. ეკატერინე თევზაძე: ოთხი გადაბმული ლექციის შემთხვევაში რამდენჯერ აფიქსირებს მასწავლებელი თავის ყოფნას?

პროფ. ლევან იმნაიშივილი: ოთხი გადაბმული ლექციის შემთხვევაში დაფიქსირება ხდება 5-ჯერ. ყველა კორპუსში იქნება ტერმინალები. მაგალითად: მე-6 კორპუსში იქნება 5 ტერმინალი, რომლებიც განთავსდება სხვადასხვა სართულებზე და, ვფიქრობ, არ უნდა წარმოიშვას რიგები.

პროფ. ნაზი კუციავა: სასურველია, რომ ყველა კორპუსში ამოქმედდეს ზარის დარეკვის სისტემა. კიდევ სად არის დანერგილი მსგავსი სისტემა?

პროფ. ლევან იმნაიშივილი: საქართველოში ინერგება მხოლოდ ჩვენთან. ადამიანმა უნდა შეასრულოს თავისი მოვალეობა. ინფორმაცია ამ სისტემის მუშაობის შესახებ შეგიძლიათ ნახოთ ვებგვერდზე მისამართით www.gturs.blogspot.com

პროფ. ლადო ხოჭოლავა: ჩანაცვლებისათვის თუ არის ოფიციალური ნებართვა საჭირო?

პროფ. ლევან იმნაიშვილი: ეს დეკანატების გადასაწყვეტია. ჩვენ არ მიგვაჩნია საჭიროდ.

პროფ. ივანე შავთვალიშვილი: თუ სრული პროფესორი შეცვლის ასოცირებულ პროფესორს, მაშინ როგორ ხდება ანაზღაურება?

პროფ. ლევან იმნაიშვილი: ამ შემთხვევაში თანხა გამოიწერება ასოცირებული პროფესორის საათობრივი ანაზღაურების ნიხრით.

პროფ. ლადო ხოჭოლავა: გთხოვთ, გაგვიმარტოთ: რას იშნავს გაცდენა წარმოდგენილ დებულებაში? ეს ერთი საათია, თუ ერთი დღე?

პროფ. ვანო თვალავაძე: შრომის კოდექსში მითითებულია, რომ ვინც არ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას, ტოვებს სამსახურს. გთხოვთ, გვითხრათ: ამ ხნის მანძილზე ვინ დაისაჯა? რამ გამოიწვია ასეთი მკაცრი სისტემის შემოღება? ფაკულტეტები ამის შესახებ არ არიან საქმის კურსში. მიმაჩნია, რომ ფაკულტეტებმა უნდა დაამუშაონ ეს საკითხი და მერე იქნეს გამოტანილი ჩვენს საბჭოზე.

პროფ. იგორ კვესელავა: ამ სისტემის ძირითადი ნაწილია არქივი, სადაც მიენიშნება ყველა შემთხვევის მიზეზი. ამიტომ თქვენი კითხვები უადგილოა. ყველაფერი გამოწვეულია დღემდე არსებული დარღვევებით. ხშირია შემთხვევა, როდესაც სრულ პროფესორს ცვლის ასისტენტ-პროფესორი. ეს უნდა აღმოიფხვრას.

პროფ. მალხაზ ხუციშვილი: ვფიქრობ, გათვალისწინებულ უნდა იქნეს, თუ როდის გააცდინა ლექტორმა საათები, ერთი დღის განმავლობაში, თუ სხვადასხვა დღეს.

პროფ. ვახტანგ დათაშვილი: ეს საკითხი უნდა განიხილონ ფაკულტეტებმა. საკითხის ასე გამოტანა განსახილველად დიდი შეცდომაა.

პროფ. ვანო თვალავაძე: ეს ყველაფერი საჭიროა, მაგრამ დასახვეწია.

პროფ. აგული სოსხაძე: მინდა შემოვიდე წინადადებით – მხარი დაუჭიროთ ამ სისტემას. მე ვესწრებოდი აკადემიური საბჭოს სხდომას, როდესაც ეს პროექტი ერთხმად იქნა მიღებული.

პროფ. იგორ კვესელავა: კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ ხელონურად იქმნება დაძაბულობა. სისტემა უნდა დაინერგოს, მაგრამ უნდა გაითვალისწინოთ ამ სისტემის მიმართ გამოთქმული შენიშვნები.

პროფ. ნაომ ბოჭორიშვილი: აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული შრომის კანონმდებლობა. საჭიროა განისაზღვროს – რას ნიშნავს გაცდენის შემთხვევა. გაცდენა მოხდა ერთი დღეში, თუ იგივე რაოდენობა სხვადასხვა დღეებში. ჩემი ინფორმაციით ძალიან ბევრი პედაგოგი ლექციებს არ ატარებს.

იქნებ სრული პროფესორი შეცვალოს ასოცირებულმა პროფესორმა და პირიქით. ეს აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული.

პროფ. გიორგი გოგინაიშვილი: თუ იცით, რომ პედაგოგები ლექციებს არ ატარებენ, რატომ ხუჭავთ თვალს?

პროფ. ვანო თვალავაძე: თუ დაისჯება ერთი პროფესორი მაინც, ყველაფერი გამოსწორდება ამ სისტემის დანერგვის გარეშე.

სპიკერმა საკითხი დააყენა კენჭისყრაზე, მაგრამ კვორუმის არარსებობის გამო გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული.

სპიკერი: მოგმართავთ შეკითხვით: გავაგრძელოთ საკითხების განხილვა თუ შევწყვიტოთ სხდომა და შემდეგ სხდომაზე დავამტკიცოთ? დღის წესრიგით რამდენიმე თვითდაფინანსების ცენტრია წარმოდგენილი და სხვადასხვა ფაკულტეტებზე საათების დამატების საკითხია განსახილველი.

საბჭოს წევრებმა მხარი დაუჭირეს საკითხების განხილვას.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეხუთე საკითხი – სტუ-სთან არსებული **"სამრეწველო ბიოეკოტექნოლოგიების"** სამეცნიერო-სასწავლო ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №313 – მომსხენებელი პროფ. ლამარა სახვაძე.

პროფ. ლამარა სახვაძემ საბჭოს წევრებს გააცნო **"სამრეწველო ბიოეკოტექნოლოგიების"** სამეცნიერო-სასწავლო ცენტრის დებულება.

წარმოდგენილი ცენტრის შესახებ შეკითხვები არ იყო.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეექვსე საკითხი. სამშენებლო ფაკულტეტის სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის დეპარტამენტთან არსებული **„უსაფრთხო ნაგებობათა მშენებლობის ცენტრის“** (კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები) შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №314 – მომსხენებელი პროფ. აგული სოხაძე.

პროფ. აგული სოხაძემ საბჭოს წევრებს გააცნო **„უსაფრთხო ნაგებობათა მშენებლობის ცენტრის“** (კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები) დებულება.

წარმოდგენილი ცენტრის შესახებ შეკითხვები არ იყო.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი – **“ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრის"** შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №315 – მომსხენებელი პროფ. გია არაბიძე.

პროფ. გია არაბიძემ საბჭოს წევრებს გააცნო “ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრის” დებულება.

შემდეგ წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა სიტყვა გადასცა მომხსენებელ თამარ წერეთელს, რომელმაც წარმოადგინა რამდენიმე საკითხი:

1. ზოგადი ფიზიკის ახალი ლაბორატორიის გამართვისათვის საათების გამოყოფის შესახებ სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №319;
2. საინჟინრო ფიზიკის მიმართულების სტუდენტთა სასწავლო-მეთოდური ლიტერატურით უზრუნველყოფის მიზნით საათების გამოყოფის შესახებ სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №320;
3. ზოგადი ფიზიკისა და მათემატიკის სასწავლო კურსებში კომპიუტერული ტესტების შედგენისათვის საათების გამოყოფის შესახებ სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №321;
4. ჰუმანიტარულ-ტექნიკურ ფაკულტეტზე სწავლების პირველი წლის მაგისტრატურის აკადემიური დატვირთვის შესახებ სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №322;
5. მათემატიკის დეპარტამენტისათვის საკონსულტაციო საათების გამოყოფის დამტკიცების შესახებ სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №324.

სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა განიხილეს და აზრი გამოთქვეს წარმოდგენილ საკითხებზე, მაგრამ გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული კვორუმის არარსებობის გამო.

სპიკერმა, პროფ. ეკატერინე თევზაძემ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს აუწყა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა, საბჭოს წევრებს მაღლობა გადაუხადა სხდომაში მონაწილეობისთვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ეკატერინე თევზაძე

სხდომის მდივანი,

პროფესორი

გინა გურეშიძე